

## საქართველოს აქვს შანსი, ხმაბაღლა თქვას ვუნდერ კინდი

### სენსაცია, როგორც ჩვენთვის საოცრებაა

### 16 წლის ელენე

### გადავანისვილი ავროპული შესრულდა



AFP ლიონიდან

ამ ჩემპიონატს ორი გმირი ჰყავდა. მე და ელენე — ეს სიტყვები გუშინ ფიგურულ ციგურაობაში ლიონის ევროპის ჩემპიონატის მეშვიდედ მომგებმა რუსმა ირინა სლუცკაიამ თქვა.

16 წლის ელენე გედევანიშვილმა, ვინც ყინულის ევროდელიფლებში არათუ ჩაიკარგა, არამედ არა ერთი და ორი ტიტულოვანი ჩამოიტოვა, სენსაციური მე-5 ადგილი დაიკავა. ელენე ყველაზე უმცროსი იყო ლიონის ყინულზე და მისთვის ეს პირველი ევროპის ჩემპიონატი იყო.

ელენეს ლიონში მაშინ დაუკავშირდით, როცა ევროელიტისგან საგანგებო მილოცვებს იღებდა...

— უზომოდ ბედნიერი ვარ. არც ველოდი ასეთ შედეგს. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ტურინის ოლიმპიადის წინ თავი დიდ ტურნირზე გამოემეცა — გვიტონა ელენემ, რომელმაც

ტურინის პირველ დღეს მოკლე პროგრამაში მოპოვებულ სამეთხედგილო ქულებს გუშინ თავისუფალ სრიალში 93,08 ქულაც მიამატა და ბევრითაც არ ჩამორჩა ბრინჯაოსმედალოსან იტალიელ კარილინა კოსტნერს.

— ასეთ შედეგს არ ველოდი, თქვი. მაინც რომელ ადგილს უშიშნებდი?

— დებიუტანტი ვიყავი. თანაც, შეიძლება, სულაც არ გამოვსულიყავი, რადგან ტრავმა ახლახანს მოვირჩინე. ჩვენი ფედერაციის და ოლიმპიური კომიტეტის თხოვნით ჩამოვედი ლიონში, რათა გამოცდილება მიმელო, მაგრამ ჩემდა გასაოცრადაც ფანტასტიკურ შედეგს მივაღწიე. აქამდე ვფიქრობდი, რომ სადღაც ათეულთან ვიტრიალებდი.

— როდესაც გამოსასვლელად ემზადებოდი, დებიუტანტის კვალობაზე ნერვიულობა არ გეტყობოდა...

— შინაგანად მაინც ვნერვიულობდი. შეცდომებიც ამის ბრალი იყო. ამასთან, აქამდე დიდებში ერთი-ორჯერ თუ გამოვსულვარ, ძირითადად ჩემ ტოლებს ვეჯიბებოდი, სადაც ფიზიკური დატვირთვა ნაკლებია. ამას ჩემი მწვრთნელის, ელენე ვოდორეზოვას ლიონში ჩამოუსვლელობაც დაერთო, ის ავად გახდა და მისი თხოვნით ტატანა ტარასოვა წამოვიდა. მისი უზომოდ მაღლობელი ვარ, თუმცა ელენას ყოფნა ბევრ სირთულეს ამაცილებდა.

— ამ შედეგით და ფორმით ტურინის ოლიმპიადაზე რომელ ადგილს ელი?

— ტურინში ორმაგად ძნელი იქნება. კანადა, ამერიკა, ჩინეთი, იაპონია დაემატებიან. მათი კლასი ყველას კარგად მოეხსენება. ალბათ, სადღაც ათეულთან ვიტრიალებ, მინიმუმ მე-12-მე-13 ადგილებს უშიშნებ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ათეულის შანსი არ მაქვს, პირიქით, ახლა ორმაგად თავდა-

ვერებული და გამოცდილი ვარ.

— უკვე ექვსი წელია, მოსკოვში ცხოვრობ და ვარჯიშობ. ტურინის ოლიმპიადისთვის იქ გააგრძელებ მზადებას?

— დიახ, ასე აჯობებს, რადგან თბილისის საციგურაო მოედანი სტანდარტული არაა, არც ისეთი პირობებია, საოლიმპიადოდ სრულფასოვნად მოვემზადო.

— თბილისში როდის ჩამოხვალ?

— ოლიმპიადის დაწყებამდე, მერე კი საქართველოს დელეგაციასთან ერთად გაფრინდები ტურინში.

— ახლა პირველს რას გააკეთებ?

— ქალაქში გავალ და რასაც მოვასწრებ, დავათვალიერებ. მერე მე და ტატანა ტარასოვა ტკბილეულით აღვინიშნავთ ამ გამარჯვებას და მეგობრებს და ჩემს პირველ მწვრთნელს, თამარიკო ჯიქიას დავურეკავ.

# ცხადამი ნაპიდა, უსხოელი მოვა

**გუშინ** დილით კახა ცხადამე თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობისგან გაათავისუფლეს. ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გამოდგა. მართალია, კახა ცხადამე გუნდი ესენგეს ტურნირიდან ნაადრევად ჩამოიყვანა, მაგრამ მაინც, გვეგონა, რომ მწვრთნელის სამსახურის საფრთხე არ ემუქრებოდა. თუმცა ჩანს, სხვანაირად ფიქრობდა „დინამოს“ ხელმძღვანელობა.

რა მოხდა? რატომ გაათავისუფლეს კახა ცხადამე? ამ კითხვებით გუშინვე „დინამოს“ პრესსამსახურის უფროს ლევან სალუქვაძეს მივმართეთ:

— „დინამოს“ ხელმძღვანელობას კახა ცხადამის კვალიფიკაციაში ეჭვი არ ეპარება. მან მწვრთნელობის ფაზის დიდი მუშაობა გასწავა კლუბში და „დინამოს“ ჩემპიონის ტიტულიც მოაპოვებინა. მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ დაკავ-

ბული მე-4 ადგილი და გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობა კლუბის ხელმძღვანელობის მიერ არადაამაკმაყოფილებლად შეფასდა, რის გამოც კლუბის გადაწყვეტილებით, კახა ცხადამე გაათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

რაც შეეხება „დინამოს“ ახალ მწვრთნელს, ლევან სალუქვაძე გვპასუხობს:

— კლუბი უახლოეს დღეებში გააფორმებს კონტრაქტს იმ მწვრთნელთან, რომელიც რამდენიმე კანდიდატიდან შეირჩა. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ „დინამოს“ ახალი მწვრთნელი უცხოელი იქნება. აქვე დაეძინო, რომ კლუბის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს „დინამოს“ განვითარება-გაძლიერება და ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს.

კობა ინასარიძე

# დრუშა თუ თანაგუნდელობა?


## რა იქნება დინამოს არჩევანი

კახა ცხადამე „დინამო თბილისში“ მთავარ მწვრთნელად უკონტრაქტოდ ამუშავეს და ცხრა თვის თავზე გუნდიდან გაუშვეს. გუშინ ცხადამესთან დაკავშირებას ამაოდ ვცდილობდით, თუმცა კულუარულად შევიტყვევეთ, რომ იგი კარის ვაჯახუნებას აპირებს და პრესკონფერენციას გამართავს.

რა აქვს სათქმელი „დინამოს“? ის, რომ ცხადამის გაწვრთნილი „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციოზე ოდენ ერთი ეტაპი გაიარა, ხოლო „თანამეგობრობის თასზე“ ორი მატჩი წააგო და ერთი ფრედ ითამაშა. მართალია, მწვრთნელი პირველ რიგში შედეგით ფასდება და ცხადამის გაწვრთნილი „დინამო“ მონაგარით ვერ დაიკვეხნის.

და რა აქვს სათქმელი ცხადამეს? მის ხელში „დინამო“ მარშალ საქართველოს ჩემპიონი გახდა, მოიგო სუპერთასი, ხოლო მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი ჯერ დამთავრებული არ არის. რაც შეეხება ევროფორენტს, 2004 წლის ევროსარბიელზე „დინამოს“ უკეთესი და უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავდა, მათ შორის ეროვნული ნაკრების ხუთი წევრი და ამიტომ მარშალდელმა „დინამომაც“ მარშალდელზე უარესად ითამაშა ევროსარბიელზე. მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე „დინამოს“ სხვადასხვა მიზეზთა გამო დააკლდნენ საკანძო ფეხბურთელები: დავით ოდიკაძე, ვია ნერვაძე, შოთა ბაბუნაშვილი, ვიორგი ნავალოესკი...

„დინამოს“ საქართველოში საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს? ვფიქრობ, ამაზე კამათი შეიძლება, რადგან საუკეთესოების პრეტენზია სხვა ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებსაც აქვთ და საკმაოდ საფუძვლიანიც. ვინმე გადაჭრით იტყვიას, რომ „დინამოს“ ვიტჯორჯიელ დავით იმედაშვილზე უკეთესი მცველები ჰყავს? რომ ვიტჯორჯიელ ვიორგი და პაულე დათუნაიშვილებზე უკეთესი საყრდენ-



კახა ცხადამე

ნები ჰყავს? რომ ოთარ მარცვალიძეზე სწრაფი ფორვარდი ჰყავს? რომ ზესტაფონელი ზურაბ იონანიძის დარი გამოცდილი შემტევი ჰყავს?

დღევანდელი „დინამოს“ აშკარა უპირატესობა სულ სხვაა — მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი ქართული გუნდებიდან „დინამო“ ჯერჯერობით ერთადერთია, საკუთარი ბაზა რომ აქვს, სადაც შეუძლია დაისვენოს, იკვებოს, ღამე გაათიოს, შეკრებაზე იყოს, ტრენაჟორებზე კუნთები დაიბეროს და ორჯერადი ვარჯიში გამართოს — „დინამოს“ ხელმძღვანელობა ამას უეჭველად შეასწავებდა ცხადამეს, მაგრამ...

გუნდის გაწვრთნა შემოქმედებითი საქმეა და თუ მას სათუთად არ მიუღებენ, ისე ეს საქმე საქმე არაა — ასეა ყველგან, ანუ ნორმალურ კლუბებში, მაგრამ იყო კი ასე „დინამოში“? იგონებოდა, რომ კლუბის მმართველობასა და ცხადამეს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო და როცა ასეა, შედეგის მიღწევა ძალიან ძნელია. გუნდის მწვრთნელი შემოსმტრელთა ბრიგ-

ადირი არაა, თავზე დაადგე და წამლაწუმ შეასხენო, შენ ყველაზე კარგი ნაჯახი, ბირდაბირი და „დრუშა“ გაქვს და ამიტომაც ყველაზე მეტი ხე შენ უნდა მოჭრა და თანაც ლამაზადო.


თუნდაც 2003 წლის „დინამო“ გაეიხსნათ, როცა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი იდგა. გუნდის მმართველი დირექტორი მაშინ დავით პეტრიაშვილი იყო და ყველამ იცოდა, რომ იყო შუშაკის ნაცვლად „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად ვია გვეგუნიძის მივანა სურდა ანუ კლუბის მმართველობა და შუშაკი თანაგუნდელები აღარ იყვნენ — ჰოდა, „დინამოს“ საქმეც მაშინ დაღმა დაეშვა, შუშაკის გუნდის ფორხილობდა და ეს ლოგიკური იყო.

ცხადამე კი სულაც უკონტრაქტოდ ამუშავეს „დინამოში“. ამ გუნდში მუშაობა ნებისმიერი ქართველი მწვრთნელისთვის დიდი ცდუნება და გამოწვევაა და ალბათ ამიტომაც დათანხმდა ცხადამე უკონტრაქტოდ მუშაობას. ამ ცოტა ხნის წინ „სარბიელში“ ერთგვარდინი წერილი მიეძღვნა დაუცველ ქართველ მწვრთნელებს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა ქმედით ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ ვერაფერს აკეთებენ.

„დინამოს“ ახალი თავკაცი შესაძლოა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი დამრეგული ანდრეი ჩერნიშოვი გახდეს და მას „დინამოსთან“ ალბათ კონტრაქტიც ექნება. რატომ მაინცდამაინც ჩერნიშოვი? ალბათ მის ლობისტებთან „დინამოს“ პატრონ ბადრი პატარკაციშვილს საქმიანი ან პირადი ურთიერთობა აქვს, მაგრამ მთავარი ისაა, იქნებოდა თუ არა ჩერნიშოვი და გუნდის მმართველობა თანაგუნდელები.

იყო შუშაკი, დრაგოსლავ სტეპანოვიჩი... მათზე მარშალდელ შემოღობამაზე ამბობდნენ, „დინამოში“ მიიწვევნენ, მაგრამ ახლა ალბათ რუსი ჩერნიშოვის ჯერია.

დავით თაგართილაძე



ანდრეი ჩერნიშოვი

# რუსი?! ჩერნიშოვი უკვე ჰაერშია

როგორც გუშინვე შევიტყვევეთ, „დინამოს“ მთავარმწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი ანდრეი ჩერნიშოვი, ცხადამის ყოფილი თანაგუნდელი მოსკოვის „დინამოში“.

თბილისის „დინამოში“ ახალი მწვრთნელი მოდის კი არა, მოფრინავს, შეიძლება ითქვას, უკვე ჰაერშია და დღეს-ხვალ ახალ კლუბთან ალბათ კონტრაქტსაც გააფორმებს.

ჩერნიშოვი მწვრთნელობის დიდი სტაჟით ვერ დაიკვეხნის — ადრე მოსკოვის „დინამოში“ ვალერი გაზავეის თანაშემწე იყო, მერე მოსკოვის „სპარტაკი“ ჩაიბარა, საიდანაც მალე გაათავისუფლეს, ბოლო სამი წელი კი რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს თავაკაცობდა, რომელიც ორი თვის წინ დატოვა...

— არ ვიცი, ჩერნიშოვის „დინამოში“ ღანიშნა გადაწყვეტილია თუ არა, მაგრამ შემოიძლია ვითხრათ, რომ ჩერნიშოვის თბილისის „დინამოდან“ დაახლოებით ექვსი-შვიდი თვის წინ დაუკავშირდნენ — ჩვენს მოსკოველ კოლეგა მიხაილ მელნიკოვს „დინამოს“ ძველ ინტერესზე თავად ჩერნიშოვისგან სცოდნია.

— არა, ჯერ ვერაფერს ვეტყვით, ორი დღე უნდა მადროვოთ, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის — ეს უკვე ანდრეი ჩერნიშოვი გუშინ ჩვენ ვითხრა, როცა მოსკოვში დაუკავშირდით.

— სულ ორი კითხვა გვაქვს... — ზუსტად ორი დღე მადროვოთ და მერე ბევრ კითხვაზე ვიპასუვებთ. სწორად გამოვით, ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია.

— თბილისში ხვალ მოუფრინავთ?

— ღიას, ხვალ თბილისში ვიქნები.

— „დინამოსთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად ჩამოიხარო?

— ხვალ მოლაპარაკება დაიწყება, პასუხს კი ორი დღეში ვეტყვით.

დანარჩენი თბილისში ვნახეთ...

კობა ინასარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია  
თანაუგრძნობს ცნობილ ფეხბურთელს  
თენგიზ სულაქველიძეს ძმის  
**პახანგ სულაქველიძის**  
გარდაცვალების გამო

სარბიელელები  
სამბიძარს ვუცხადებთ  
თენგიზ სულაქველიძეს ძმის  
**პახანგ სულაქველიძის**  
გარდაცვალების გამო

**პორტუგალია**  
სუპერლიგა XIX ტური  
პანაფიელი 0:0 ბრაზა

**უსაანეთი**  
თანის 1/4 ფინალი I მატჩი  
დემორტივიო 1:0 ვალენსია

# ტოპმოლეარმა იხის გამოსაგაღზე მალტის უაღრეს ვიზუალუბთ



მურამ დოლიძე

ქართული ფეხბურთის ეპიცენტრი ამჟამად გერმანიაშია — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმოლეარი ყოველდღიურად ხვდებიან ერთმანეთს, თუმცა სფფ-ის პრეზიდენტი შეხვედრის დეტალებს, ბუნებრივია, არ ამბუერებს...

— ვიცით, რომ უკვე შეხვდით კლაუს ტოპმოლერს. ნაკრების კანდიდატთა გაფართოებული სისის თაობაზე ისაუბრეთ?  
— არა, სია არ გადამიცია. გაფართოებულ სიაზე მუშაობა ფეხბურთის ფედერაციაში ამჟამად მიმდინარეობს და კლაუს ტოპმოლერთან ერთად მას დეტალურად თბილისში განვიხილავთ.  
— გაირკვა თუ არა ზუსტი თარიღი, როდის ჩამოვა ტოპმოლერი თბილისში?  
— 5 თებერვალს. როგორც იცით, 7 და 9 თებერვალს საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრებზე აპირებს დასწრებას.  
— გვერდს ვერ ავუვლით მეკარის ნატურალიზების თემას. ამის შესახებ თუ გქონდათ საუბარი?  
— ამაზე არ გვისაუბრია. ბატონი ტოპმოლერი ახალგაზრდული ნაკრების ორი შეხვედრის გარდა, მალტის ტურნირზეც დააკვირდება ნაკრების კანდიდატებს და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სერიოზული მსჯელობა გამოსაგაღზე.  
— მაგრამ მან თუ იცის, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია გამოცდილი უცხოელი მეკარის მოწვევის იმედი იქონიოს?  
— რა თქმა უნდა. ნატურალიზება თანამედროვე ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია და გერმანიაშიც აქვთ ამგვარი გამოცდილება — თავდამსხმელ შონ დანდის შემთხვევაში ამან განსაკუთრებული შედეგი ვერ მოიტანა, მაგრამ პრობლემის გადაჭრის ამგვარი გზა უცხო ხილი ნამდვილად არ არის.  
— როგორც ნაკრების რიგითი ქომაგი, ემზრობით უცხოელის „გაქართველებას“?  
— მეკარის პრობლემა რეალურად არსებობდა და არსებობს. საკითხავი ისაა, ჩვენი

ნაკრების აქამდელი წარმატებლობა მხოლოდ მეკარის ბრალია? ან უცხოელის მოწვევა ყველა ჩვენს პრობლემას მოხსნის? მესმის, რომ ეს პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ნატურალიზების შესახებ საუბრებიც ამან განაპირობა. თუმცა არ მინდა, ამით ქართველ მეკარეებს ჩამოუყალიბდეთ კომპლექსი, რომ მათ შანსი არ აქვთ. არადა, სანაკრებოდ ერთბაშად სამი მეკარის ნატურალიზებას ხომ ვერ მოვახდენთ? იმ უცხოელის შემცვლელი ნებისმიერ შემთხვევაში ქართველი უნდა იყოს...  
...მეკარე იქით იყოს და, მამაჩემის დროსაც კი პრობლემატური იყო მარჯვენა მცველის პოზიცია. მისასაღებელია, რომ კახა მყავანძე ოდესის „ჩერნომორეცში“ გადავიდა. თუ სტაბილური სათამაშო პრაქტიკა ექნა, მას მეტი შანსი მიეცემა. ასევეა ნუკრი რევიშვილის შემთხვევაშიც: იმედი, „რუბინში“ სათამაშო პრაქტიკა ექნება. გაითვალისწინეთ, რომ მას კარიერაში ნორმალური მოსამზადებელი ეტაპიც არ გაუვლია. მეკარის პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ნახევარ წელიწადში საოცარი პროგრესი განიცადოს, მაგრამ თუ სათადარიგოთა სკამზე დაჯდა...  
— ხელისუფლებამ უცხოელის ნატურალიზების საკითხშიც მხარდაჭერა აღვითქვით...  
— რა თქმა უნდა. ფეხბურთი ხომ მართლაც სპორტი არ არის და შესაბამის მიდგომასაც მოითხოვს. მოხარული ვარ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან საქმიანი და კონსტრუქციული დიალოგი მიმდინარეობს. განვლილი ექვსი თვის განმავლობაში ამან შედეგი მოიტანა და მჯერა, კვლავაც მოიტანს.

გიორგი ნოზაძე

# ასაულო, სწორად!

ნოდარ ახალკაციმ გვითხრა, ნაკრების გაფართოებული სია კლაუს ტოპმოლერისთვის არ გადამიცია, მასზე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს და გერმანელს მწვრთნელს 5 თებერვალს თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გააცნობთ.  
ამ სიაზე მუშაობა ფედერაციაში მართლაც მიმდინარეობს. ეროვნული გუნდის წევრობის კანდიდატთა სიაში 50-მდე ფეხბურთელია. დაახლოებით ამდენივეს ეროვნულ ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატთა შორის მოხვედრის პატივიც. გარდა სტატისტიკური ინფორმაციისა, თითოეული მათგანის შესახებ მზადდება ფოტოები, ილუსტრაციები, ვიდეომასალა და, რაც მთავარია, დახასიათება — როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული.  
კლაუს ტოპმოლერი ამ მასალას ნაკრების თამაშების ვიდეოფირებით შექმნილ შთაბეჭდილებასთან შეაჯერებს და მალტაზე წამსვლელთა ვინაობასაც ამის შემდეგ გამცნობს.  
კარგია, თუ საქართველოს ნაკრების წევრობის ღირსი (ეროვნულის და ახალგაზრდულის) ასამდე ფეხბურთელი გვევლინება. სხვა თუ არაფერი, გაფართოებულ სიაში მოხვედრა თითოეული მათგანისთვის სტიმულად მინც უნდა იქცეს.  
ეს სარკაზმის გარეშე და მართლაც საინტერესოა, ვინ უნდა დაუხასიათოს კლაუს ტოპმოლერს პიროვნულ-პროფესიულად სავარაუდო მენაკრებენი? ალბათ მათ, ვისაც უშუალო შეხება აქვთ ნაკრებთან: ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა, ნაკრები გუნდების ლეპარტამენტის ხელმძღვანელმა გაიოზ დარსაძემ და ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჯიაშვილმა...

გიორგი ნოზაძე

# აბუ და ბიჭები ღვინიანიკა ფეხზე დადგა



მალხა ასათიანი



გიორგი ჭელიძე


არაბულ აბუ-დაბიში ამჟამად სამი ქართველი ემზადება საახალსეზონოდ. ოთარ მარცვალიძესა და კიევის „დინამოზე“ ხშირად ვწერთ, ამჯერად კი მალხა ასათიანისა და გიორგი ჭელიძის ამბები მოვიკითხოთ.  
ჩვენებურები და მოსკოვის „ლოკომოტივი“ აბუ-დაბიში დაახლოებით ათი დღის წინ ჩავიდნენ. რკინიგზელთა ახალი მწვრთნელი სლავოლიუბ მუსლინი გუნდს დიდი დატვირთვებით ავარჯიშებს და ჯერჯერობით ამხანაგური მატჩების ჩატარებაზე არ ფიქრობს.  
— დატვირთვები დიდა, მაგრამ ვუძლებთ. პრობლემა არაა, ისედაც ხომ ვიცოდით, რომ ასე უნდა იყოს. მთავარია, თავს ჯანმრთელად გვგრძნობ — გვითხრა მალხა ასათიანი.  
იგივეს ფიქრობს გიორგი ჭელიძეც, რომელმაც შეკრებისწინა ტესტებზე ისეთი შედეგები აჩვენა, რომ მუსლინის ქებაც დაიმსახურა. გუშინწინ ასათიანს და ჭელიძეს თავისუფ-

ალი დღე ჰქონდათ და ისინი კიევის „დინამოს“ და „მოსკვას“ ამხანაგურ მატჩს დაესწრნენ. სხვათა შორის, შეკრების ბოლოს კიეველებს სწორედ „ლოკომოტივთან“ აქვთ დაგეგმილი ტესტ-მატჩი.  
კიდეც ერთი რკინიგზელი მათე ღვინიანიძე კი სარეზერვო გუნდს ახლავს ხოსტაში. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა შარშან ადრიან შემოდგომაზე დაშავებული ფეხი უკვე მოიჩინა და სრული დატვირთვით ემზადება.  
— ფეხი აღარ მაწუხებს, დატვირთვებსაც აღარ ვერიდები და ამხანაგურ მატჩებშიც ვითამაშე. ასე რომ, საშიში აღარაფერია. თუ მწვრთნელებმა საჭიროდ ჩათვალეს, 7 და 9 თებერვალს აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩებში სათამაშოდაც აუცილებლად ჩამოვალ თბილისში — გვითხრა გუშინ მათე ღვინიანიძე.

კახა ზალაგზირიძე

**თქვენი ინტეხვიუ**  
**კლაუს ტოპმოლერთან**

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმოლერი იქნება.  
კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვანოდოთ და პერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.  
იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: [Starmail@Caucasus.net](mailto:Starmail@Caucasus.net)

# იმაღიანი ფარო მოყავისფროზე თემურ მახარაძემ სიონს პირველად მოუგო

რაც თემურ მახარაძე ბოლნისიდან წავიდა, „სიონისთვის“ არ მოეგო და გუშინ ამხანაგურ მატჩში მისმა „ზესტაფონმა“ პირველად, 2:0 აჯობა ქვემოქართლებს.

„ნორჩი დინამოელის“ მოყვითალო-მოყავისფრო მინდორზე ბურთის ნორმალურად დამორჩილება და ტექნიკური თამაში ჭირდა, ამიტომაც დიდი ვერაფერი ბურთაობა გამოვიდა.

ფეროელებს აკლდათ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები, რომლებიც კობა ჟორჯიკაშვილის თავკაცობით პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან. „სიონი“ სრული შემადგენლობით კი იყო და შესუსტებულ მეტოქესთან წაგება მოულოდნელი გამოდგა, მაგრამ პირველ წრესთან შედარებით თავად ბოლნისელებმაც ხომ საკმაო ძალა დაკარგეს ჯაბა დვალის, გრიგოლ დოლიძის, თენგიზ ჩიკვილაძისა და დავით ბოლქვაძის სახით...

მატჩი სამი 30-წუთიანი ტაიმებით ჩატარდა. თემურ მახარაძემ და ხეჩა ქასრაშვილმა ასეთი შემაღვენილობები ათამაშეს:

**ზესტაფონი:** ჭანტურია, მამასაშვილი, შ. ლონდაძე, ს. თოდუა,

კ. ჩხეტიანი (შარანგია), თურმანიძე (დანკო), ნუნდი, ბ. ნოზაძე (პანოვი), იმედაძე (ქერაშვილი), იონანიძე, ვიორგოძე (ჯანელიძე).

**სიონი:** ბობიაშვილი, კობაური (ოქროპირიძე), სვანიძე, ლ. მერებაშვილი, რაქვიაშვილი, ქუცურუა (ალაიძე), ხმადაძე (ტატიშვილი), ლ. ჭელიძე, გ. ვიფიანი (ბაჯელიძე), მიკუნაძე, სირბილაძე.

10 იონანიძე (123), 2:0 იმედაძე (56) იმერლებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და გოლიც მალე გამოაღწესეს, თუმცა ამაში „სიონის“ მცველი დავით სვანიძე წაეხმარათ — სვანიძემ დროულად ვერ მოიგერია ბურთი და ვა იმედაძესთან ჭიდილში პენალტი აიკიდა, ზურაბ იონანიძეს კი 11 მეტრიდან ნირი არ შეხრიდა.

საერთოდ, იმედაძე სერგეი ნუნდისთან ერთად ერთ-ერთი გამორჩეული იყო და აკი მეორე გოლი თავადვე შეაგდო.

„სიონს“ ნახევარდაცვაში ძალიან უჭირდა, (ნომინალური მცველი ლაშა ჭელიძე საყრდენ შუახაზულად თამაშობდა) ისევ გრძელ პასებზე აკეთებდა აქცენტს, სადაც ირაკლი სირბილაძის თავით მძლავრი თამაშის, ან კოკა მიკუნაძის დრო-

ბოლინგისა ეიმედებოდათ. მიკუნაძე რამდენჯერმე კი დაუსხლტა ფეროელთა მცველებს, ერთი-ორჯერ ლამაზი ფინტებიც გამოუვიდა, მაგრამ...

შეცვლაზე შესული ფეხბურთელებიდან 16 წლის ზესტაფონელი ფორვარდი დავით ჯანელიძე გამოირჩეოდა, ყველა ბურთზე იბრძოდა და რამდენჯერმე დერეფანიც გაეხსნა, მაგრამ მინდია ბობიაშვილთან პირისპირ გასვლაზე წამებოდა აკლდებოდა.

ნამატჩვეს ხეჩა ქასრაშვილიც „სიონის“ ნახევარდაცვის სისუსტეზე ჩიოდა, ეს ხაზი აუცილებლად უნდა გაეძლიეროთ, ენახოთ, 22 იანვარს იალტაში მივდივართ შეკრებაზე და ეგებ, იქ ახალწვეულებიც შევიმატოთ.

ჩვენ კი დავამატებთ, რომ „სიონში“ უკრაინელი ლეგიონერების ჩარიცხვაზე ლაპარაკი.

ნახევარდაცვის გარდა, ბოლნისელებს არც თავდასხმაში ულხინთ და ქასრაშვილს ჯაბა დვალის დაბრუნების იმედი კვლავაც აქვს, „დინამოს“ მის გარდა ხუთი თავდასხმელი ჰყავს და თავად ჯაბასაც „სიონში“ უნდა გადმოსვლაო...

ილია ნანოვახიძე



„ამერი“ ახალწვეულმა დავით ბოლქვაძემ (№17) სადებიუტო მატჩშივე გაიტანა

## ამერი სოსუმი დალა

გუშინ ავჭალაში, „სინათლეზე“, უმაღლესლიგელები „ამერი“ და „სოსუმი“ გაეჯიბრნენ ერთმანეთს ამხანაგურად. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, „ამერი“ მოიგო — 4:0. ალექსანდრე კაიდარაშვილმა დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი დავით სეკასტოპოლომ და თბილისელთა ახალწვეულმა დავით ბოლქვაძემ გაიტანეს. „სიონის“ ყოფილმა კაპიტანმა საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი.

თამაშის ამგვარი შედეგი მოსალოდნელი იყო, ვთქვით: „სოსუმში“ კვლავაც ფინანსური კრიზისია და შემადგენლობაც გვარიანად გადახალისებული ჰყავთ, „ამერი“ კი პირველი წრის დასრულების მერე უფრო გაძლიერდა და ერთი შეკრების გაულაც მოასწრო. თანაც ჩემპიონატის სატურნირო ცხრილშიც ამ გუნდებს გვარიანად განსხვავებული ადგილები უკავიათ.

თავად თამაშიც ისეთი იყო, კარგა ხნის უთამაშებელი გუნდებისგან რომ უნდა ელოდოს კაცი — მაღალ ხარისხამდე ვერ ადრეა, თუმცა თამაშს მონატრებულ ფეხბურთელებს ფინი არ აკლდათ.

ჰო, ურთიერთშეთანხმებით, მეტოქეებმა სამი 30-წუთიანი ტაიმი ითამაშეს. ამათვინ პირველი უგოლოდ დასრულდა, თუმცა მომენტები იყო. სოსუმელი ვიორგი ხაჩიძის სახიფათო დარტყმულს ლადო ნადირაშ-

ვილმა სწრაფი რეაქცია შეაგება, საპირისპირო კართან კი ჯინჯარაძემ პირისპირ გასულ სულიკო დავითაშვილს დაასწრო.

გოლები კი მეორე და მესამე ტაიმებში გავიდა. „ამერს“ ძალა ბოლო წუთამდე ეყო, სოსუმელებს კი ძალა მალე დაეცოთ და გოლთაცვენის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

ისღა დავამატოთ, რომ ამერელთა ახალწვეულებმა — ბოლქვაძემ, ჩიკვილაძემ და დოლიძემ — პირველი თამაშის კვალობაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და უეჭველია, რომ გუნდს დიდ ძალას შემატებენ.

გუნდებმა ასეთი შემაღვენილობით ითამაშეს:

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გ. კვასაძე, დავითნიძე, ზვადაიანი, კედელაშვილი, სილაგავა, დობროვოლსკი, დეკანოზიძე, კოშკაძე, ს. დავითაშვილი, ა. კაიდარაშვილი. შეცვლაზე შევიდნენ: ნაჭყვია, ჩიკვილაძე, გარუჩავა, ბერიანიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, სეკასტოპოლო.

**სოსუმი:** ჯინჯარაძე, მარაღაძე, ვოვიტიძე, ვერენაშვილი, ჭყონიძე, კახელაშვილი, მლოდინი, ფარჯანი, ჭანტურია, ხაჩიძე, ნოზაძე. შეცვლაზე შევიდნენ: ვასკიანი, ექონია, სახოკია, მჭედლიძე, შამუგია, ჭუმბურიძე, დონდოლაძე, ლაბაძე.

კობე გეგელია



გრიგოლ იმედაძემ (№7) ბოლნისელებს პენალტიც დასტყუა და გოლიც გაუტანა

## ვეტერინარული დერბი



ნესტორ მუმბაძე

საკონტროლო შეხვედრა გამართა მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა „ვიტ ჯორჯიამ“. მისი მეტოქე „ზოოვეტი“ იყო და „სინათლის“ სტადიონზე გამართული შეხვედრის ანგარიშმა სრულად ასახა მეტოქეთა კლასში სხვაობა — ვეტერინარებმა 8:1 გაიმარჯვეს.

ნესტორ მუმბაძემ „ვიტ ჯორჯია“ ორი შემაღვენილობით ათამაშა. სასტარტო შემაღვენილობა კი ასეთი იყო: ლურბელიძე, ჯაფარიძე, ა. კვასაძე, დ. ლომია, ქუხილაძე, გ. დათუნაშვილი, კვალინაძე, დიდ-მელაშვილი, ზ. სახოკია, ებანიძე, ბეგოძე. პირველ ტაიმში გოლები დათუნაშვილმა, სახოკიამ, ებანიძემ და ბეგოძემ გაიტანეს.

მეორე ნახევარში „ვიტ ჯორჯია“ მოედანზე შემდეგი შემაღვენილობით გამოვიდა: მიქაბერიძე, პ. დათუნაშვილი, ცქეიტაია, აფშილაძე, გველე-სიანი, ფეიქრიშვილი, ცხომარია, რაზმაძე, გ. მელქაძე, ბერიაშვილი, გელაშვილი. ვეტერინარებმა მეორე 45-წუთიულშიც ოთხჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი: გოლები ფეიქრიშვილის (2), ცხომარიას და გელაშვილის ანგარიშზეა.

გიორგი ნოზაძე

## შიუი ოსპარია

სომხურმა „პიუნკმა“ აზერბაიჯანულ „ნეფთჩის“ „თანამეგობრობის თასის“ ფინალში თამაშის უფლება დაუთმო.

ვეფერობთ, იმდენად გულუბრყვილო არავინაა, პიუნკელთა ეს საქციელი კეთილ ნებად მიიჩნოს — სომხებმა თასის ნახევარფინალში მეზობლებთან თამაში პოლიტიკურ მიზეზთა გამო იუარეს.

ოფიციალური მიზეზი, რაც „პიუნკმა“ მოსკოვის დატოვებისას დაიბარა, საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვაა, რაც „ნეფთჩისთან“ მატჩისას, მათი აზრით, დაცული ვერ იქნებოდა.

„პიუნკის“ უარმა ბაქოელები სულაც არ დააღონა, აი, რუსები კი გვარიანად ვანაწყენა. რუსებმა, როგორც ტურნირის ორგანიზატორებმა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და საფეხბურთო კავშირი ოფიციალური კომენტარის გამოქვეყნებასაც აპირებს.

ისე, ეს გუნდები შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ვიორგი ადამიას გოლებით ბაქოელებმა 2:0 მოიგეს. ჰოდა, მაშინ თუ არ შეეშინდა „პიუნკს“ უსაფრთხოების ზომების დაუცველობის, ახლა რატომ შეშინდა? ეჭვი გვაქვს, შესაძლო ისევე წაგების მიზანად უნდა გვეჩინდეს საქმე.

ლუკა თალაგვაძე

# მისტერ ჩელსკი ბურთი ვერ გააბორკა



არ იცის და არც ეშვება

**გუნდი** კი კარგი ჰყავს რომან აბრამოვიჩს, მაგრამ თავად ფეხბურთის თამაში არ გამოსვლია და იმ კვირაში ოპერაციას გაუკეთებენ. ის თავის ფეხბურთელებზე ბევრად იოლად დაშავდა.

მისტერ ჩელსკი შუა ლონდონში, ბელგრავიას უბანში მდებარე თავისი სახლის ეზოში ფეხბურთის თამაშობდა 12 წლის ვაჟ არკადის და სამთავან ერთ თავის ქალიშვილს, ახლა კი ყავარჯენებით დადის.

ბრიტანეთის ტერიტორიაზე ამჟამად ყველაზე მდიდარი კაცი, ვისი ქონებაც რვა მილიარდ გირვანქას უკაკუნებს ველინგტონის ჰოსპიტალში გაუსინჯავთ და უთქვამთ, ფეხი საოპერაციოაო.

აბრამოვიჩი ორ დღეს გაატარებს ამ ჰოსპიტალში, მისი პალატის კართან კი მუდმივად იდგება ორი მცველი.

თავის დროზე, აბრამოვიჩისგან შერისხულმა „ჩელსის“ ყოფილმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ თქვა, მისტერ ჩელსკის ფეხბურთისა არაფერი გაეგებათ. მართალი ყოფილა.

**ირაკლი გამყრალიძე**



უოლკოტი „არსენალმა“ დაიბევა

# თელ უკვე მეთოფა

**ლონდონის** „არსენალმა“ მაინც მოახერხა და ორი მილიონი გირვანქის დამატებით თავისთან გადაიყვანა 16 წლის საუთჰემპტონელი ვუნდერკინდი თელ უოლკოტი.

ტრანსფერის ფასი ჯამურად 12 მილიონ გირვანქას შეადგენს, თუმცა აქედან შვიდს „საუთჰემპტონი“ თანდათანობით, უოლკოტის „არსენალის“ ძირითადში მოხვედრისკენ ვალად მიიღებს.

ბიჭი წინა კვირას უკვე მეთოფედ იყო გამოცხადებული, მაგრამ მოულოდნელად „საუთჰემპტონმა“ მოითხოვა, რომ იგი გაყიდვისთანავე უკან მიეღო ქირით.

დაიყარა ჭორები, თითქოს „ჩელსი“ 50 მილიონს იხდოდა ვუნდერკინდში. ბოლოს კი ის გამოვიდა, რომ „არსენალმა“ ორი მილიონი დაამატა

და ისიც ძნელად წარმოსადგენია, უილკოტი ქირით დაუბრუნონ „საუთჰემპტონს“.

თვითონ უოლკოტისთვის და მისი ოჯახისთვის „არსენალი“ ყველაზე სასურველი გუნდი იყო, ბიჭს ფეხბურთელად ისე ვერავინ ჩამოაყალიბებს, როგორც არსენ ვენგერი.

„საუთჰემპტონის“ უფროსობა იმასაც უფროსობდა, რომ როგორც კი სრულწლოვანი შეიქნებოდა, თელ გუნდს ისედაც მიატოვებდა.

„პაბიერზე“ ბიჭს სრულ სამედიცინო შემოწმებას ჩაუტარებენ და მისი ასაკისთვის ტრადიციულ ხელფასს, კვირაში 90 გირვანქას დაუნიშნავენ. თუმცა უკვე გაისად ეს ხელფასი შეიძლება, ასჯერაც გაიზარდოს.

**ირაკლი გამყრალიძე**

# პინ დარჩა ბასიეზული?!

## კასანოს შავიდა-გოლი

ანტონიო კასანოს დებიუტი მადრიდის „რეალში“ იღბლიანი გამოდგა. სულ სამი წუთის შესული იყო იტალიელი „რუის დელოპერას“ არენაზე, „ბეტისის“ გამარჯვების გოლი რომ შეუგდო. კოპა დელ რეის მეოთხედფინალური მატჩის 64-ე წუთზე გუტის საჯარიმოსა და ანდალუსიელების მეკარე დობლასის უხეირო თამაშის შემდეგ კასანომ „რეალის“ შემადგენლობაში თავისი პირველი ბურთი მიითვალა.

აპენინელი ფორვარდი ჯერჯერობით თავის სიტყვას ასრულებს — ადრე მედიისთვის უთქვამს, საშფოთ გუნდში მალე გავიგებ და გოლს „რეალის“ ლეგენდარულ კაცს, ალფრედო დი სტეფანოს მივუძღვნიო.

ანტონიო კასანოს „ბეტისთან“ ბედნიერი ჯახის მერე მადრიდელი „ასს“ ესაუბრა



საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები თუმცა სულ მალე ინჩასები უკეთეს კასანოს ნახავენ. მთავარია, ტრავმა არ მაწუხებს, რის გამოც ახალ გუნდთან შეჩვევას იოლად მოვახერხებ.

— სამეფო გუნდი პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში „კადისს“ ხვდება. როგორ ფიქრობთ, შაბათს „რეალის“ ძირითადში იქნებით?

— ეს ჩვენ მწვრთნელზეა დამოკიდებული, მე ვერ გეტყვით, „კადისთან“ თამაშში მონაწილეობას მივიღებ თუ არა. საუკეთესო ფიზიკური ფორმისგან შორს არ ვარ, თუმცა ჩემი ძირითადში მოხვედრა ჯერჯერობით ნაადრევია. ენახთ, მწვრთნელი რას მეტყვის, თუ ლოპეს კარომ სასტარტო თერთმეტში დამაყენა „რეალის“ გამარჯვებისთვის თავს არ დაეზოვავ.

— თქვენმა გოლმა „ბეტისის“ ქომაგების დიდი „გამოცოცხლება“ გამოიწვია...

— ტრიბუნებიდან სულ „გასიებული“ და სხვა ამგვარი სალანძღავი სახელები მემახეს, თუმცა ეს ნაკლებად მადარდებს. მთავარი „რეალის“ მოგებაა, დანარჩენი სხვა კი მეორეხარისხოვანია. ვინც „გასიებული“ მიწოდონ, ვინც უფრო უარესი. მე ჩემი საქმე გავაკეთე და „რეალმა“ უმწველესი მატჩში გაიმარჯვა...

**ლადო ხომერიძე**

— თქვენი დებიუტისა და „რეალის“ გამარჯვების შემდეგ თავს როგორ გრძობთ?  
— სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან კმაყოფილი ვარ — „ბეტისმა“ ძლიერი წინააღმდეგობა გაგვიწია და მეტოქის მოედანზე გამარჯვება ურიგო არ უნდა იყოს. ეს მოგება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. თან მატჩის ერთადერთი გოლი შეცვლაზე სულ რამდენიმე წუთის შესულმა გავიტანე.

— ფიქრობდით, რომ „რეალში“ თქვენი პირველივე თამაში ასე იღბლიანი იქნებოდა?  
— ამაზე უკეთესი დებიუტი ვერც წარმომედგინა. ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, ფორტუნა არც მომდევნო თამაშებშიც მიმატოვებს.  
— ფიზიკურად როგორ ფორმაში ხართ?  
— ერთი თვეა, არ მითამაშია და

# ალფრედო დი სტეფანო

პოსპიტლიდან გამოწერეს „რეალის“ ლეგენდა და საპატიო პრეზიდენტი ვალენსიურ საავადმყოფოში 24 დეკემბერს მოხვდა მწვავე მიოკარდიული ინფარქტის დიაგნოზით.

ღონ ალფრედო ვალენსიაში გახლდათ, ქალიშვილის სახლში და შობა-ახალი წლის გატარებასაც იქ აპირებდა. დი სტეფანოს გადასარჩენად ექიმებს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა — 28 დეკემბერს ხუთსაათიანი ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოს პერსონალმა, დი სტეფანოს ოჯახმა და გულშემატკივრებმა შეებით ამოისუნთქეს — „რეალის“ 79 წლის საპატიო პრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. დი სტეფანომ პოსპიტალში კიდევ რამდენიმე დღე გაატარა და საავადმყოფო 19 იანვარს დატოვა. „პოსპიტალში ყოფნისას იქაური პერსონალისგან და უბრალო ხალხისგან საოცარი სითბო ვგრძობდი. მათ გარეშე სიკვდილი მომერეოდა“ — უთხრა გულაჩუყებულმა მოხუცმა ესპანელ ჟურნალისტებს.

**ლადო ხომერიძე**



პაპამ სიკვდილის მოუგო

# იყიდება

1998 წელს გამოშვებული VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI ძრავით, ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში ჩამოყვანილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68



ფეხბურთის რუკასთან



იტალიურმა „ფიორენტი-ნამ“ მოულოდნელი ტრანსფერი გააჩინა. ფლორენციელებმა „ევერტონიდან“ დანიელი მცველი პერ კროლდრუპი დაიმატეს. კონტრაქტის პირობები და საფასური ჯერ არას ცნობილი. შეგახსენებთ, რომ კროლდრუპი ლივერპულმა კლუბმა შარშან ზაფხულს „უდინეზედან“ 5,1 მილიონ ვირჯანქად იყიდა, მაგრამ დანიელმა პრემიერლიგას ალლო ვერ აულო.

მსპანურ „ატლეტიკოს“ სანტანდერის „რასინგის“ ნახევარმცველის, ფერნანდო მარკესის შეძენა გადაუწყვეტია. 21 წლის ფეხბურთელმა წინა სეზონში ნახევარი წელი მადრიდულ კლუბში გაატარა და თავისი თამაშით ხელმძღვანელობას თავი მოაწონა. გასულ კვირას იგი სიმთვრალეში მანქანის მართვისას პოლიციამ დააკავა, რის მერც „რასინგმა“ საბოლოოდ გადაწყვიტა მასთან განშორება.

ინგლისური „ჩარლტონის“ თავდამსხმელი ჯეი ბოტროიდი შესაძლოა, სერია A-ში დაბრუნდეს. მას თვალი „უდინეზემ“ და „ფიორენტინამ“ დაადგეს. „უდინელთა“ თავკაც სერსე კონტის ბოტროიდიან ერთად ჯერ კიდევ „პერუჯაში“ უმუშაოა და 23 წლის ფორვარდს კარგად იცნობს, ხოლო ფლორენციელები ვალერი ბოკინოვის პოტენციურ შემცველს ეძებენ, რადგანაც მან შესაძლოა, „არტემიო ფრანკი“ დატოვოს.

თურქეთის ნაკრებისა და „სოსიედადის“ თავდამსხმელმა ნიჰათ ქაპეჩიმ განაცხადა, რომ სულ მცირე, სეზონის ბოლომდე კლუბში რჩება. ნიჰათის შეძენა ძალიან უნდოდა მოსკოვის „სპარტაკს“ და 3 მილიონ ევროსაც იხდიდა, მაგრამ დარკო კოვანჯიჩის სერიოზული ტრავმის გამო „სოსიედადი“ იძულებული გახდა, შეთანხმება ჩაეშალა და თავად თურქიც არ იწვოდა რუსეთში გადასვლის სურვილით.

მსპანური „ვილიარეალიდან“ ლუჩო ფიგერას წასვლის ამბავი უკვე გადაწყდა — არგენტინელი ფორვარდი სამშობლოში, „რივერ პლეტში“ წელიწადნახევრის განმავლობაში იჯარით იბურთავებს. ოთხშაბათ საღამოს კასტელონში — „ვილიას“ და „რივერის“ პრეზიდენტები, მანუელ ლიანესა და ხოსე მარია ავილარი, ფიგერას მამა და საფეხბურთო აგენტი ხორხე ფიგეროა შეხვდნენ. ორი მილიონი ევროს ფასად ლუჩოს 18 თვით სამშობლოში დაბრუნება გადაწყდა. „მონუმენტალზე“ გადაბარებულ ფორვარდს გამეკისკელებული არგენტინელი ვილერმო ფრანკო შეცვლის. ფრანკო „სან ლორენსოში“ თამაშისას „ვილიარეალის“ ახლანდელი მწვრთნელის, მანუელ პელაგრინის შეგირდი გახლდათ. როგორც „მარკა“ ვეამცნობს, მექსიკური „მონტრერეის“ აწვეული ყოფილი მიიერეშე „ვილიას“ „მადრიდალზე“ უახლოესი სამი სეზონის განმავლობაში დარჩება.



მიხაელ ბალაჯი



სალგადო შესაძლოა ტურინში გადაბარდეს

# საქდა ნარტიმეულ ქაღზე იუვენტუსის კვად-ახალი

ტურინის „იუვენტუსი“ ისევ მცველის ძიებაშია. მას მერე, რაც ვილი სანიოლთან შეთანხმება არ მოხერხდა, ლუჩანო მოჯი და კომპანია სხვა კანდიდატებზე გადაერთვნენ. მათ შორისაა „რეალის“ მიჩელ სალგადოც, ვისთვისაც „ბებერი ქალბატონი“ ადრეც დაინტერესებული გახლდათ. 29 წლის მადრიდელის ფასი მიახლოებით 3-4 მილიონი ევროა.

მეორე ვარიანტი აიძო ღიანა. „სამპდორიას“ გამოცდილი მცველი წლევეანდელ სეზონს განსაკუთრებით კარგად ატარებს. ამბობენ, ტურინელები გენუელებს 28 წლის ფეხბურთელში მარსელო ზალაიტას ან ფაბრიციო მიკოლის

სთავაზობენო. ისიც ვთქვათ, რომ ღიანას სხვა მსურველებიც ჰყავს, მათ შორის „მილანიც“.

პარალელურად, ჯონათან ძებიანას ახალი მსურველი გამოუჩნდა. მოგეხსენებათ, „დელე ალბიდან“ მისი წასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. „ლივერპულისა“ და „მილანის“ შემდეგ 27 წლის ფრანგს თვალთ „ნიუკასლმა“ დაადგა. „ჯორდეს“ დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვთ და გრემ სუნესს, სულ მცირე, ერთი მაღალი კლასის მოთამაშის დამატება უნდა.

„დელე პიერო კლუბს არასოდეს დატოვებს“ — გადაჭრით თქვა ფრანცო გრანდე სტივენსმა. ეს პიროვნება კი „იუვენტუსის“ პრეზი-

დენტია და მისი განცხადება „პინტურინოს“ კომენტარების გამოძახილია. ტურინელთა კაპიტანმა ცოტა ხნის წინ თქვა, ამ სეზონის ბოლოს თუ არა, 2008 წლის ზაფხულში კარიერა შეიძლება ინგლისში გააგრძელო.

ახლახან დელ პიერო კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მას უკვე 188 გოლი მოუვროვდა და ტურინელთა ყოფილ ვარსკვლავსა და პრეზიდენტს ჯამბიერო ბონიპერტის გადაუსწრო. ბონიპერტი ის კაცია, რომლის ინიციატივაც იყო „პინტურინოს“ „იუვეში“ მოყვანა. დელ პიერო უკვე 12 წელია, რაც „იუვეშია“ და როგორც ამბობენ, თამაშის დასრუ-

ლების შემდეგ კლუბის დირექტორის პოსტს უმზადებენ.

ბოლოს ფრანკო კოვანჯიჩი ვასხენოთ. რა „შეაშა“ „მონაკოს“ ამჟამინდელი მწვრთნელი „იუვენტუსთან“? თურმე 2004 წელს იგი ფაქტობრივად ტურინელთა თავკაცი იყო და ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდა, მაგრამ ლუჩანო მოჯიმ ბოლო მომენტში ფაბიო კაპელოს ხელში ჩაგდება შეძლო და...


„დარწმუნებული ვიყავი, რომ „იუვენტუსის“ მწვრთნელი ვხდებოდი. თითქმის ყველაფერი მოლაპარაკებული იყო, მაგრამ უცებ ფაბიო კაპელო გამოჩნდა და შეთანხმებაც, სამწუხაროდ, ჩაიშალა. კაპელო საუკეთესოა და ამ ამბავზე არ მინერვიულია, თუმცა გული ნამდვილად დამწყდა“ — თქვა გვილიონმა.

ამასობაში, „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ მიხაელ ბალაჯის ტურინელთა რიგებში გამოჩენა გამოიცხა. მართალია, მას ამგვარი ტყუილი ბევრჯერ უთქვამს, მაგრამ ამ განცხადებამ გერმანიის „დელე ალბიზე“ გადასვლის შესახებ მაინც საგონებლოდ შეამცირა. თან, ისიც გაეხსენოთ, რომ რობერტ კოვანჯის ტრანსფერისა და ვილი სანიოლის ამბის შემდეგ „იუვესა“ და „ბაიერნს“ შორის ურთიერთობა დაიძაბა.


„სანიოლთან კონტაქტი არასდროს გვქონია. ეს პრესის მოგონილი იყო. ჩვენ, უბრალოდ, აღვნიშნეთ, რომ იგი კარგი ფეხბურთელია. რაც შეეხება ბალაჯს, მან ერთხელ თქვა, თითქოს ჩვენ ვცდილობთ დაბალ ხელფასზე დავითანხმეთ, მაგრამ ეს არ არის მართალი. ბალაჯის დამატებას არ ვაპირებთ“ — აღნიშნა მოჯიმ.

გიორგი ბაბაბაძე

# ფლორენციაში გერმანიას იმპირებენ რუმინიგა: იტალია ჩვენზე ძლიერია



მარჩელო ლიბი მარტს ელის



რუმინიგემ იტალია აღიარა

„სკუადრა აძურას“ მორიგი ამხანაგური მატჩი 1 მარტს გერმანიასთან ექნება. შეხვედრა ფლორენციაში გაიმართება, „არტემიო ფრანკიზე“ კი იტალიას 1993 წლის მერე არ უთამაშია. ყველაზე მთავარი „ფიორენტინას“ ფანების მოსალოდნელი ბოიკოტია. მიზეზი? ეროვნულ ნაკრებში „იუვენტუსის“ ძალიან ბევრი ფეხბურთელი თამაშობსო...

მოგეხსენებათ, „იების“ ფანებს „ბებერი ქალბატონი“ ძალიან არ უყვართ. განსაკუთრებით მას მერე, რაც რობერტო ბაჯლომ ფლო-

რენცია დატოვა და „იუვენტუსის“ მისურა მორიგო. „სკუადრა აძურაში“ „იუვე“-დან ყოველთვის ბევრ მოთამაშეს იწვევდნენ და გამოცდილი არც ახლანაირი არც ახლანაირი „ფიორენტინიდან“ ნაკრებში მხოლოდ ერთი-ორი ფეხბურთელის თამაში იგეგმება. მათ შორის სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირის ლუკა ტონისაც.

იტალიის ნაკრების თავკაც მარჩელო ლიბის კი ფლორენციაში განსაკუთრებით არ ერჩიან, რადგანაც იგი წარმოშობით ტოსკანელია. „1 მარტს ჩვენ მივალთ სტადიონზე და გერმანიას ვიყვირებთ“ — განაცხადა „ფიორენტინას“ ერთერთმა ფანმა.

„ტრიბუნებზე დიდ ტრანსპარანტს გავშლით, რომელზეც გერმანიის გერბი იქნება გამოსახული“ — დასძინა მეორემ.

ამასობაში, მოუნენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმინეგემ საინტერესო კომენტარი გააკეთა. მართალია, საბუკმეიკერო კანტორებმა გერმანია მუნდიალის ნომერ მესამე ფავორიტად დაასახელეს, მაგრამ რუმინეგე გერმანელთა ნაკრების შანსებს შედა-

რებით მოკრძალებულად აფასებს და მასზე წინ სწორედ იტალიას აყენებს. „იტალია ბრწყინვალე ნაკრებია. მათ ჩვენზე და ბევრ სხვა ქვეყანაზე გაცილებით უკეთესი ფეხბურთელები ჰყავთ. მართალია, მხოლოდ ეს არ კმარა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის, მაგრამ აქვინებებს სხვა თვისებებიც აქვთ. ისინი ძალიან ემოციურები არიან. გადამწყვეტ როლს საწყისი ეტაპი თამაშობს. თუ კარგი სტარტი ექნათ, მერე მათი შეჩერება გაძნელებია“.

გიორგი ბაბაბაძე

იტალია სერია A XX ტური

მილანი 1:0 ასკოლი
1:0 ინტერი (4)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, სტამი, იანგულოვსკი (სერჯინიო 82), ამბროზინი (გატუზო 42), პირლო, ზეედორფი (კაკა 64), რუი კოშტა, ჯილარდინო, ფ. ინტაგი

პიეპო 1:1 იუვენტუსი
1:0 ფრანჩესკინი (22), 1:1 ვიერა (31)
პიეპო: ა. ფონტანა, ფ. მორო (მალაგო 83), მანდელი, სკურტო, ლანა, სემიოლი, სამარკო, ჯუნტი (ბრიგი 75), დ. ფრანჩესკინი, ამბურე, ტორიბოჯი (პელისიერი 61)

პალერმო 4:2 პარმა
0:1 სიმპლისიო (23), 1:1 კორინი (27), 1:2 კანავარო (38), 2:2 ბარძალი (50), 3:2, 4:2 დი მიკელე (52, 60)
პალერმო: ლუპატელი (ანდუხარი 81), მაკარდო, ბარძალი, ტერლიცი, აკარდი, სანტანა, კორინი (ბონანი 71), ბარონე, მ. გონსალესი, დი მიკელე, კარაჩოლო

სამპდორია 3:1 ფიორენტინა
1:0 პალერმო (11), 1:1 ტონი (14), 2:1 ტონი (24), 3:1 ფლაკი (34)
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, მ. კასტელინი, ტონეტი, დიანა, ვოლპი, პალომბო, კუტუზოვი (დალა ბონა 67), ბაცანი (მარკეზეტი 90), ფლაკი (კოლომბო 75)

სამპდორია 3:1 რაზინა
1:0 2:0 ტორი (4, 65), 2:1 ფრანჩესკინი (90), 3:1 მანინი (90)
რაზინა: დონი, პანუჩი, მექსეში, კიუკუ, კუფრე, დე როსი, აკილანი (დაკუარი 82), ტადეი, მეროტა, მანინი, ტორი (ოკაპა ჩუკა 90)

სამპდორია 3:1 რაზინა
1:0 2:0 ტორი (4, 65), 2:1 ფრანჩესკინი (90), 3:1 მანინი (90)
რაზინა: დონი, პანუჩი, მექსეში, კიუკუ, კუფრე, დე როსი, აკილანი (დაკუარი 82), ტადეი, მეროტა, მანინი, ტორი (ოკაპა ჩუკა 90)

სამპდორია 3:1 რაზინა
1:0 2:0 ტორი (4, 65), 2:1 ფრანჩესკინი (90), 3:1 მანინი (90)
რაზინა: დონი, პანუჩი, მექსეში, კიუკუ, კუფრე, დე როსი, აკილანი (დაკუარი 82), ტადეი, მეროტა, მანინი, ტორი (ოკაპა ჩუკა 90)

სამპდორია 3:1 რაზინა
1:0 2:0 ტორი (4, 65), 2:1 ფრანჩესკინი (90), 3:1 მანინი (90)
რაზინა: დონი, პანუჩი, მექსეში, კიუკუ, კუფრე, დე როსი, აკილანი (დაკუარი 82), ტადეი, მეროტა, მანინი, ტორი (ოკაპა ჩუკა 90)



მილანი — ასკოლი. ამ სეზონში ფილიპო ინტაგიმ მეცხრე მატჩში მესამე გოლი მიითვალა

პირის ნიხლი და რამდენიმე სხვა ამბავი

გაფრთხილება: რაფაელი, ძაური, მანდრედინი, პარიზი, ოდო, ტარე
მსაჯი: პიერი
18 000 მაყურებელი

გაფრთხილება: ფოლიო, ალბერტო, ბუდელი, მოლინარო
მსაჯი: რომეო
7 000 მაყურებელი

გაფრთხილება: კონტინი, ტერლიცი, კორინი, ბოლანო, გონსალესი, დი მიკელე
მსაჯი: ბანტი
26 500 მაყურებელი

გაფრთხილება: დიანელი, ბაცანი, პასკუალი, დი ლორეტო, დიანა
მსაჯი: მესინა
22 000 მაყურებელი

გაფრთხილება: ლუჩინო, სპალეტი
რაზინა: პავანი, ლანძარო (ლაურო 81), ი. ფრანჩესკინი, დე როზა, ა. ლუკარელი, მესტო, პარედესი, ტედეკო, მოდესტო (ნ. ამორუზო 46), კოცა, ვიჯანი (მისიროლი 67)

